1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	8 800.0	9 437.0	7 042.3	74.6%	148 028.07

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 145 942 გასვლა);
- საანგარიშო პერიოდში გარემონტდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მეორე და მეექვსე სართულზე სამუშაო ოთახები, აჭარის დპ სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ფასადი და დერეფნები. მოეწყო არქივის ოთახი. ასევე, გარემონტდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 108 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- რეგიონალური დანაყოფების ცენტრალური დაკვირვების პულტის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა 4 ცალი სერვერი;
- ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 45 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი (ფურგუნის ტიპის) მიკროავტობუსი, 20 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი პიკაპის ტიპის ავტომანქანა და 15 ერთეული ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანა.

- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 600 ცალი საკონტროლო პანელი;
- ყოველდღიურად დაგროვილი ინფორმაციის, მონაცემების დაარქივებისა და საიმედოდ შენახვის უზრუნველსაყოფად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მყისიერად აღდგენის შესაძლებლობის მიზნით, შეძენილ იქნა 1 ცალი მონაცემთა ქსელური საცავი;
- კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა 5 ცალი ცენტრალური სადისპეჩერო პულტის ოპერატიული მართვის სადისპეჩერო კონსოლი;
- ობიექტების ტექნიკური საშუალებებით დაცვის განხორციელების მიზნით შეძენილი იქნა 3 ცალი დაცვის სისტემის (AES) ქსელის მონიტორინგის სისტემა.